საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

მარინე ცუცქირიძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ადვოკატი ლ. ჯ. /სიითი №/

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: მ. ჭ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.01.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №008/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. ჯ.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. ჯ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2022 წლის 25 იანვარს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა, ხოლო 15 მარტს ზეპირ განხილვაში მიიღო მონაწილეობა ადვოკატმა ლ. ჯ.- მა , ადვოკატ ა. ჯ.-ს წინააღმდეგ და მოითხოვა მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს მის სარჩელს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების წესების კონსტიტუციურობის საკითხთან

დაკავშირებით. 2021 წლის 15 დეკემბერს ადვოკატმა ა. ჯ. - მ, რომელიც არის ადვოკატთა ასოციაციის ერთ-ერთი კომიტეტის თავმჯდომარე, სარჩელთან დაკავშირებით გააკეთა საჯარო პოსტი, სოციალური ქსელის „Facebook"-ის მეშვეობით.

1.3 ადვოკატმა ა. ჯ. - მ მის მიმართ გამოიყენა ფრაზეოლოგია: „ორღობის ჭორიკნების ღობე"; „დანინგ კრუგერის ეფექტის კლასიკური ცოცხალი მაგალითი; ინდიცირებული ფსიქოზის საწყისი ცოცხალი მაგალითი".

1.4 ადვოკატის შეფასებით, ადვოკატმა ა. ჯ. - მ მის მიმართ დაარღვია კოლეგის პატივისცემის ეთიკური ვალდებულება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2022 წლის 09 თებერვალს ადვოკატმა ა. ჯ. - მ ეთიკის კომისიას წარმოუდგინა წერილობითი განმარტება, ხოლო 2022 წლის 24 მარტს ზეპირ სხდომაში მიიღო მონაწილეობა. ადვოკატმა მიუთითა, რომ მომჩივანის საჩივარს საფუძვლად უდევს მის მიერ, პირად „Facebook" გვერდზე გამოქვეყნებული სტატუსი და ამ სტატუსის ქვეშ განვითარებული მსჯელობა. სტატუსი ეხებოდა 2021 წლის 15 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გამართულ ზეპირ განხილვას საქმეზე „ლ. ჯ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ". საქმის ფარგლებში განიხილებოდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ფორმის, პროფესიაში შესვლის პროცესის და პროფესიის მიმართ დადგენილი სტანდარტების კონსტიტუციასთან შესაბამისობა.

2.2 ადვოკატი განმარტავს, რომ საკითხის მიმართ გააჩნდა მაღალი ინტერესი, რადგან ეს ეხება მის პროფესიას. ადვოკატის შეფასებით, საკონსტიტუციო სასამართლოს პროცესი წარიმართა კორპორაციისათვის რეპუტაციული ზიანის მიყენების ფორმატში, მოსარჩელე და მისი ადვოკატი გამოირჩეოდნენ არარელევანტური და საქმის არსს აცდენილი გამოსვლებით. აქედან გამომდინარე, პირად „Facebook"-ის გვერდზე დასვა კითხვა: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში არსებით განხილვას საქმეზე „ლ. ჯ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" ვინც უსმინეთ, მართლა გულწრფელად მაინტერესებს ვინმესთვის მოსარჩელე მხარის ან დასაბუთება, ან კომპეტენცია, ან ეთიკა, ან რამე იყო მოსაწონი, მისაღები და გასაზიარებელი?".

2.3 ადვოკატი განმარტავს, რომ მის სტატუსზე აზრი გამოხატა არაერთმა კოლეგამ. ა. ჯ. - ს პოზიციით, მისი სტატუსი და სტატუსის ქვეშ გაკეთებულ კომენტარებზე პასუხი ეხებოდა პროცესის ფარგლებში გაჟღერებული ინფორმაციის და მოცემულობის შესახებ მის მოსაზრებას. მისი შეფასება არ ეხებოდა პერსონალურად ადვოკატ ლ. ჯ. - ს. მან ზოგადად შეაფასა პროცესზე განვითარებული მოცემულობა.

2.4 ადვოკატი განმარტავს, რომ მხარემ ცინიზმის გამოხატულებად აღიქვა ეპითეტები: „დანინგ-კრუგერის ეფექტი და ინდუცირებული ფსიქოზი". ადვოკატი განმარტავს, რომ დევიდ დანინგი და ჯასტინ კრუგერი ასკვნიან, რომ: „არასწორი შეფასება არაკომპეტენტური ადამიანების მხრიდან უკავშირდება საკუთარ თავზე მცდარ შეხედულებას, მაშინ, როდესაც კომპეტენტური ადამიანების არასწორი შეფასება უკავშირდება სხვების მცდარ შეფასებას. მან ამ კომენტარით მოიაზრა კომპეტენტური პირების მხრიდან სხვების (კერძოდ ასოციაციის მმართველი გუნდის) მცდარი შეფასება.

2.5 ადვოკატმა განმარტა, რომ რაც შეეხება ტერმინს - „ინდუცირებული ფსიქოზი“, აქ საუბარია პროცესზე, რომლის ფარგლებშიც ფსიქოლოგიურად ჯანსაღი ადამიანები ანვითარებენ მათთვის ავტორიტეტული ადამიანის არაჯანსაღ მოსაზრებას. ეს ეპითეტი არ გამოუყენებია კონკრეტული ადვოკატის შეფასების სტილში, ეს ეხებოდა პროცესს და იდეას, რომელიც საკონსტიტუციო სარჩელის განხილვის დროს იქნა წამოწეული.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მეტაფორა „ორღობის ჭორიკნები“ გამოიყება, როდესაც განსჯა/განხილვა მიმდინარეობს ყურმოკვრით გაგებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. მან ეს შეფასება გამოიყენა, რადგან მიაჩნია, რომ სადავო საკითხის განხილვა ეხებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის მიღმა საკითხებსაც.

2.7 ადვოკატი განმარტავს, რომ 2021 წლის 20 დეკემბერს მის პირად Facebook-ის გვერდზე განხორციელდა უკანონო შეღწევა და დაეკარგა თავის პოსტებზე წვდომა, შესაბამისად, ვეღარ შეძლო საკუთარი პოსტის მართვა.

2.8 ადვოკატი განმარტავს, რომ მისი პოზიცია წარმოადგენდა აზრის გამოხატვას და არ იყო მიმართული რომელიმე ადვოკატის მიმართ. მისი მიზანი არ ყოფილა ადვოკატ ლ. ჯ..-ის პროფესიული თუ პირადი ღირსების შელახვა და არ დაურღვევია პროფესიული რეგულაციები.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ა. ჯ. - არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სამოქალაქო.

3.2 ადვოკატმა ლ. ჯ.- მა ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა 2022 წლის 25 იანვარს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2021 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ა. ჯ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა ა. ჯ.-მ პირად „Facebook“-ის გვერდზე გამოქვეყნებული პოსტითა და პოსტის ქვეშ გაკეთებული კომენტარებით მის მიმართ წარმოთქვა შეურაცხმყოფელი და ცილისწამებლური გამონათქვამები, მოიქცა არაკოლეგიალურად და შეულახა პროფესიული ღირსება.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ა. ჯ. - ს მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატი ვალდებულია, პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები; ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 7, მუხლი 10.1).

5.3 ადვოკატს აქვს განსაკუთრებული ვალდებულებები კოლეგების მიმართ, მათ შორის არ შელახოს მათი პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია. ამასთან, ადვოკატის კოლეგიალობის დაცვის პრინციპი შეიძლება მოვიდეს კონკურენციაში ადვოკატის სხვა პროფესიულ ვალდებულებებთან, მათ შორის კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრონციპთან ან სასამართლოს მიმართ ვალდებულებებთან, ასევე იმ ძირითად უფლებებთან, რომლითაც ადვოკატი, როგორც მოქალაქე, სარგებლობს. ამ შემთხვევაში შესაძლებელია კონკურენცია არსებობდეს კოლეგიალობის პრინციპსა და გამოხატვის თავისუფლებას შორის.

5.4 საქართველოს კონსტიტუციის მე-19.1 მუხლის მიხედვით, „ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის...თავისუფლება“, ხოლო 24.1 მუხლის მიხედვით „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით“. აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური და მე-19.3 და 24.4 მუხლების მიხედვით შეიძლება შეიზღუდოს, თუ ის ლახავს სხვათა უფლებებს. შესაბამისად, ადვოკატებს უფლება აქვთ ისარგებლონ ამ უფლებით და გამოთქვან აზრი, თუმცა მათ უნდა დაიცვან სხვათა ღირსება და არ შეზღუდონ სხვათა უფლებები.

5.5 ადვოკატის როლის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების 23-ე მუხლის თანახმად, ,,ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ აზრის გამოხატვის, რწმენის, გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ დისკუსიებში, რომლებიც დაკავშირებულია იურიდიულ, მართლმსაჯულების განხორციელების, ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებთან .....ამ უფლების რეალიზაციისას, ადვოკატებმა უნდა იმოქმედონ კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების შესაბამისად.“

5.6 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (საქმე№11/6/561,568; 2016 წლის 30 სექტემბერის გადაწყვეტილება) განმარტა, რომ „თავისუფალი სიტყვა იმით ფასობს, ანუ სწორედ იმაში გამოიხატება სიტყვის თავისუფლება, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ ისეთ მოსაზრებებს თუ გამონათქვამებს, რომლებიც ყველასათვის მისაღებია, დადებითად აღიქმება, მთლიანად საზოგადოების ან თუნდაც მისი დიდი ნაწილის, უმრავლესობის აზრს და გემოვნებას ეხმიანება, არ ითვლება საჩოთიროდ, არამედ მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიუღებელია ხელისუფლებისთვის, საზოგადოების ნაწილისთვის თუ ცალკეული ადამიანებისთვის, შოკის მომგვრელია, რომელმაც შეიძლება აღაშფოთოს საზოგადოება, ადამიანები, წყენაც კი მიაყენოს მათ, გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათა ღელვა, ასევე იგი

მოიცავს კრიტიკას და სარკაზმსაც. ასეთია ტოლერანტობის, პლურალიზმის, შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომლებიც დემოკრატიის საზრდოობისთვის შეუცვლელი წყაროა“.

5.7 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ 2006 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებაში, საქმეში №2317/12/06 აღნიშნა, რომ: ,,ადვოკატებს აკისრიათ უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და მათ მიერ გაკეთებული განცხადებები და კრიტიკული გამონათქვამები არ უნდა გახდეს მათ წინააღმდეგ დევნის დაწყების საფუძველი“.

5.8 „ადვოკატის პროფესია საკმაოდ რთული და კომპლექსურია, რადგან წარმოადგენს საზოგადოების დიდ ინტერესს. ადამიანი, რომელიც ირჩევს ამ პროფესიას მზად უნდა იყოს ისმინოს, მისი პიროვნებისა და პროფესიონალიზმის მისამართით გამოთქმული კრიტიკა, რომელიც ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა არც თუ ისე სასიამოვნო მოსასმენი იყოს, მაგრამ ეს წარმოადგენს იურისტის პროფესიის განუყოფელ ნაწილს... საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ პატივი სცეს სხვა ადვოკატებს და კლიენტის ინტერესების დაცვის პროცესში მას არ მიაყენოს შეურაცხყოფა“ (ეთიკის კომისიის 20.08.2012 წლის გადაწყვეტილება, საქმე N100/12).

5.9 ადვოკატი ა. ჯ. ადასტურებს, რომ სადავო პოსტი და პოსტის ქვეშ გაკეთეული კომენტარები მას ეკუთვნის. მომჩივანი ადვოკატის, ლ. ჯ.-ის მიერ წარმოდგენილი „სქრინებით“ დასტურდება, რომ ადვოკატმა ა. ჯ. - მა, „Facebook“-ის პირად სოციალურ გვერდზე გამოაქვეყნა პოსტი:

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში არსებით განხილვას საქმეზე „ლ. ჯ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ ვინც უსმინეთ, მართლა გულწრფელად მაინტერესებს ვინმესთვის მოსარჩელე მხარის ან დასაბუთება, ან კომპეტენცია, ან ეთიკა, ან რამე იყო მოსაწონი, მისაღები და გასაზიარებელი?“

5.10 პოსტის ქვეშ ადვოკატმა ა. ჯ. - მა გამოაქვეყნა კომენტარები:

„საინტერესოა თუ: 1)გინდა დანინგ-კრუგერის ეფექტის კლასიკური მაგალითი იხილო ცოცხლად 2) ინდუცირებული ფსიქოზის საწყისები ცოცხალ მაგალითზე გაინტერესებს“;

„აუ, მართლა მესმის რამდენად გაგაღიზინებდა განაწყენებული ორღობის ჭორიკნების ბოდვები, ბოდიშიი“;

„მოსამართლის რეპლიკები და რეაქციები ცალკე სამემუარო თემაა. ისე „ფსიქოს“ მოთხოვნა მართლა საჭიროა“;

„ორივე ნაწილია აქ, Lolita ისე შენც გახსენეს მანდ“;

„Lolita დანინგ-კრუგერის ეფექტის კლასიკური მაგალითი იყო რასაც ვუსმინე სხვას ვერაფერს ვიტყვი“;

„მე ბოლომდე იმედი მქონდა ბოლოს მოკვდა იმედიც“.

5.11 საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ა. ჯ. - ს პოსტის ქვეშ განვითარებული დიალოგი ეხება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში 2021 წლის 15 დეკემბერს გამართული

პროცესის შეფასებას. ადვოკატი საუბრობს ზოგადად, პასუხობს კოლეგებს და გამოთქვამს მოსაზრებებს. და მისი საუბარი არ არის მიმართული სახელდებით ადვოკატ ლ. ჯ..-სადმი.

5.12 საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ა. ჯ. - ს მიერ პოსტში და კომენტარებში გაჟღერებული მოსაზრებები სარგებლობენ სამართლებრივი დაცვით, რადგან ყველა მოსაზრება შეიცავს პროცესის შეფასებით მსჯელობას, ადვოკატის მოსაზრებას რომელიც აფასებს საკონსტიტუციო სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ პროცესს; ამასთან, ადვოკატის მოსაზრება არ მიემართება კონკრეტულად რომელიმე ადვოკატს, მათ შორის მომჩივანს - ადვოკატ ლ. ჯ. - ს; ასევე, ადვოკატი ა. ჯ. - ს მიზანი იყო პროცესის შეფასება და არა კოლეგის შეურაცხყოფა. შესაბამისად, ადვოკატ ა. ჯ. - ს არ დაურღვევია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 7 და 10.1 მუხლით დადგენილი კოლეგის პატივისცემის ვალდებულება.

5.13 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №008/22 ადვოკატ ა. ჯ. - ს მიმართ /სიითი №/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვლი/

კოლეგიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/